



MES 4 22 0000883736



09/08/2022

### სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

**სხდომის ჩატარების თარიღი:** 27.07.2022

**სხდომის დაწყების დრო:** 16:00 სთ

**სხდომის დასრულების დრო:** 17:03 სთ

**საბჭოს თავმჯდომარე:** ირაკლი ბურდული

**საბჭოს მდივანი:** ანა საბახტარიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში - დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

#### სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

**ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე**;

**ბორის ლეჟავა** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი მარკეტინგის მიმართულებით - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;

**გივი გაგნიძე** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ერვნილი ცენტრის "ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი" პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი;

**თამარ თორია** - ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

**ანა საბახტარიშვილი** - ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი - **საბჭოს მდივანი**;

**არჩილ სუმბაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს "ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი;

**კახაბერ ფარცვანია** - შპს "თანამედროვე განათლების აკადემიის" ფრანგული ენის მასწავლებელი.

**სხდომაზე დამსწრე პირები:**

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები**

<b>N</b>	<b>სახელი, გვარი</b>	<b>სტატუსი</b>
1	<b>ნიკოლოზ ფარჯანაძე</b>	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2	<b>ქეთევან ინანაშვილი</b>	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
3	<b>თორნიკე ბაქაძე</b>	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	<b>ლალი ოდიშვილი</b>	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

აკრედიტაციის დებულების 28<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 28<sup>5</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 28<sup>7</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვის პროცესში, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

· არა

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური

მონიტორინგის შედეგების განხილვის პროცესში, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხის განხილვა.

**საკითხის განხილვა:**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 25 მაისის №66 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №240 თბილისი 0159, საქართველო
15	ინფორმაცია ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებამ ცენტრში შემოიტანა სააპელაციო საჩივარი	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის №04/12-22 (ცენტრში რეგისტრაციის №1434995, 29/12/2021) წერილი. წარმოდგენილი კორესპონდენცია შეეხება შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და

## საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადი

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა, საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

## ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა, განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, მიღებულ იქნას თუ არა სააპელაციო საჩივარი განსახილველად, ან განაცხადოს უარი საჩივრის განხილვაზე. საჩივრის მიღების წინაპირობები განსაზღვრულია აკრედიტაციის დებულების 28<sup>3</sup> მუხლით. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი საბჭოს მიერ მიიღება განსახილველად. წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით (№820049, 19/07/2022) ჩანს, თუ ვის მიმართავს დაწესებულება (იმ საბჭოს დასახელება, რომლის გადაწყვეტილებაც საჩივრდება) და ამავდროულად მითითებულია, თუ რომელი გადაწყვეტილება არის გასაჩივრებული (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება, ასახულია ოქმში - №768909, 06/07/2022). საჩივარში გათვალისწინებულია/ასახულია აკრედიტაციის დებულების 28<sup>3</sup> მუხლის შესაბამისად განსაზღვრული მოთხოვნები. გარდა ამისა, ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა არის დეტალურად აღწერილი და დასაბუთებული, წარმოდგენილია თანდართული დოკუმენტაცია.

ასევე აღნიშნა, რომ „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამაზე საბჭოს უწევს დასაშვებობის შემოწმება, და თუკი ეს ეტაპი გაიარა სააპელაციო საჩივარმა, მასზე დაყრდნობით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის მიხედვით, მოხდება შინაარსობრივი ნაწილის არსებითად განხილვა. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, მიმდინარე ეტაპზე, პროგრამაზე განხორციელდა არაგეგმური მონიტორინგი.

დაწესებულების „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით, სააპელაციო საბჭომ 2021 წელს განიხილა სააპელაციო საჩივარი, რომლის შესაბამისად გასაჩივრებული იყო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ხარვეზის გამოსწორებისათვის 60 დღიანი ვადის განსაზღვრის შესახებ. ირაკლი ბურდული ასევე დაინტერესდა, რომ ცენტრის მხრიდან ყოფილიყო შეხსენება, თუ რა საფუძველით განხორციელდა 2021 წელს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგი, რომლის შედეგებიც გაასაჩივრა დაწესებულებამ, და რა იყო ამჟამად პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის ფარგლები, საფუძველი და რა იქნებოდა აკრედიტაციის საბჭოს მხრიდან პოზიტიური გადაწყვეტილების შემთხვევაში მონიტორინგის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომლებს, წარმოედგინათ დამატებითი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ და საჩივარის მოთხოვნების აკრედიტაციის დებულებასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით.

ცენტრის თანამშრომელმა, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, თორნიკე ბაქაქურმა ისაუბრა ადმინისტრაციულ წარმოების საკითხთან

მიმართებით და აღნიშნა, რომ ცენტრში თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის (შემდგომში - დაწესებულება) წერილის საფუძველზე (ცენტრში რეგისტრაციის №1434995, 29/12/2021) მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც შეეხებოდა დაწესებულების „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 06 ივლისის №768909 ოქმის პირველი საკითხის სარეზოლუციო ნაწილის თანახმად, საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 60 კალენდარული დღის ვადა, რათა შეასრულოს ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციები. სააპელაციო საჩივრის ცენტრში რეგისტრაციის შემდგომ, დაწესებულების მიერ დამატებით იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 06 ივლისის №768909 ოქმის პირველ ნაწილში დაფიქსირებული გადაწყვეტილება დაწესებულების მხრიდან სასამართლოში არ არის გასაჩივრებული. ასევე, აღსანიშნავია, რომ ცენტრის მიერ დაწესებულებისათვის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ინფორმირებიდან საჩივრის წარმოდგენამდე არ იყო გასული ერთთვიანი ვადა, ხოლო უშუალოდ საჩივარი ცენტრში წარმოდგენილი იყო უფლებამოსილი პირის მიერ.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა თორნიკე ბაქაქურმა და ამავე სამსახურის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ინანაშვილმა მიმოიხილეს ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ:

საუბრის დროს აღინიშნა, რომ შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 2018 წლის 25 მაისის (№66) გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამაზე განხრციელდა მონიტორინგით შეფასება (ბრძანება № 1245614, 31/12/2020).

აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 მაისის №501200 ოქმის საფუძველზე, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას განესაზღვრა 60 დღიანი ვადა ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების პირობით. 2021 წლის 15 ივლისს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კორესპონდენციით (ცენტრში რეგისტრაციის № 654853) წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი. სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 17 აგვისტოს №800317 გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შეწყდა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება (№906389, 13/09/2021).

მოგვიანებით, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის (ცენტრში რეგისტრაციის №1434995, 29/12/2021) წერილის საფუძველზე, ცენტრმა დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება დაწესებულების "სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით. პროგრამა წარმოდგენილია ერთი მისანიჭებელი კვალიფიკაციით - „სოციალური მეცნიერებების დოქტორი“. აკრედიტაციის საბჭოს №768909, 06/07/2022 გადაწყვეტილების საფუძველზე, შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს „სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად, განესაზღვრა 60 დღიანი ვადა. დაწესებულებამ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო საბჭოში №820049, 19/07/2022 წერილით.

რაც შეეხება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას, აღნიშნულ საკითხს აწესრიგებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება. აღნიშნული ბრძანების მიხედვით განსაზღვრულია უმაღლესი განათლების სისტემის ახალ ჩარჩოზე და კლასიფიკატორზე გადასვლის ეტაპები. დაწესებულებამ, ამ ბრძანების შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინა ცენტრში შესაბამისი თვითშეფასების ანგარიში. რაც შეეხება ამ შეფასების პროცესის თავისებურებებს, ცენტრი ამ შემთხვევაში ატარებს პროგრამაზე არაგეგმურ მონიტორინგს და აკრედიტაციის საბჭოს მიერ პოზიტიური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, წყდება ადმინისტრაციული წარმოება. აკრედიტაციის დებულებისა და არსებული პრაქტიკის მიხედვით, აკრედიტაციის საბჭომ შესაძლებელია დაწესებულებას განუსაზღვროს 60 დღიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. შედეგად, დაწესებულება 60 დღის ფარგლებში წარმოადგენს ცენტრში რეკომენდაციების შესრულების ანგარიშს და კვლავ ტარდება ადმინისტრაციული წარმოება პროგრამის არაგეგმური მონიტორინგის ფარგლებში.

შეჯამების სახით თორნიკე ბაქაქურმა აღნიშნა, რომ ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოზე და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან მორგებისავის, უნივერსიტეტს მოუწია დაეშალა „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (რომელიც ითვალისწინებდა რამოდენიმე კვალიფიკაციას). შესაბამისად, ბოლო შემოწმების მიხედვით, პროგრამა დასახელებით „სოციალური მეცნიერებები“ წარმოდგენილია არაკლასიფიცირებულ სფეროში (0319 - სოციალური მეცნიერებები) და გადის შესაბამისობაში მოყვანის შემოწმებას. იმ შემთხვევაში, თუკი საბოლოოდ პროცესი დასრულდება და აკრედიტაციის საბჭოს პოზიტიური გადაწყვეტილებით დადგინდება პროგრამის შესაბამისობაში მოყვანა, ეს პროგრამა იქნება „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამართალმემკვიდრე და მისი აკრედიტაციის ვადა განსაზღვრული იქნება თავდაპირველი პროგრამის აკრედიტაციის დარჩენილი ვადით. შესაბამისობაში მოყვანამდე, დაწესებულებას შეუძლია განახორციელოს თავდაპირველი სახით აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა და სტუდენტებს მიანიჭოს შესაბამისი კვალიფიკაცია.

მონიტორინგის ფარგლებთან დაკავშირებით, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ინანაშვილმა დამატებით დააზუსტა, რომ შეფასების ფარგლები სპეციფიურია/მიზნობრივია და უკავშირდება საგანმანათლებლო პროგრამის კონტექსტში ეროვნული ჩარჩოს შესაბამისი დონის სწავლის შედეგების აღმწერის შესაბამისობის დადგენას, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას პროგრამის სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამის დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსის განხილვას, ამ სფეროს მოთხოვნებისა და განვითარების ტენდენციების იდენტიფიცირებას, მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებებისა და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა-გათვალისწინებას. თავისთავად, შეფასების პროცესში ხდება პროგრამის ადამიანური რესურსის შეფასება, რადგან უნდა შეფასდეს, დოკუმენტურად გაწერილი პროცესების შესასრულებლად დაწესებულების ადამიანური რესურსების თავსებადობა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა ლალი ოდიშვილმა, დამატებით აღნიშნა, რომ თუკი აკრედიტაციის ექსპერტს აკრედიტაციის სხვა კომპონენტებთან დაკავშირებით გაუჩნდება კითხვები, იმ მიზეზით, რომ შეფასების პროცესში გამოიკვეთა პროგრამაში განხორციელებული ისეთი ცვლილებები, რომელიც ლოგიკურად უკავშირდება აკრედიტაციის სტანდარტის სხვა კომპონენტის შესაბამისობის დადგენას, ექსპერტს შეუძლია დამატებით გამოითხოვოს დოკუმენტები დაწესებულებისგან. მან ასევე

დამატებით ისაუბრა და დააზუსტა მონიტორინგის პროცესის თავისებურების შესახებ და აღნიშნა, რომ ცენტრი მონიტორინგის პროცესის განხორციელების დროს ხელმძღვანელობს აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციებით.

16:35 საბჭოს ხდომა დატოვა სააპელაციო საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ.

სააპელაციო საბჭოს წევრი ბორის ლეჟავა, დაინტერესდა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხზე, კერძოდ, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის პროცესის შედეგად აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება სააპელაციო საბჭოში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა, აღნიშნა, რომ აკრედიტაციის დებულების 28<sup>1</sup> და 28<sup>2</sup> მუხლების სისტემური განმარტების გათვალისწინებით, სააპელაციო საბჭოს შექმნისა და საქმიანობის მიზანს წარმოადგენს დაინტერესებული მხარისთვის შესაძლებლობის მიცემა, თუკი იგი არ ეთანხმება აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც შესაძლოა მის კანონიერი ინტერესებსა და უფლებებზე ახდენდეს გავლენას, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა ჰქონდეს სააპელაციო წესით.

ამასთან, მხედველობაში იყო მისაღები, რომ აკრედიტაციის დებულების 28<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დაწესებულებამ სააპელაციო საბჭოში შესაძლებელია გაასაჩივროს ამ დებულების 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში სააპელაციო საბჭოში. ხოლო ეს უკანასკნელი მუხლი ითვალისწინებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

- ა) აკრედიტაციის შესახებ;
- ბ) პირობითი აკრედიტაციის შესახებ;
- გ) აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ;
- დ) აკრედიტაციის გაუქმების შესახებ.

როგორც აღინიშნა, 2021 წელს სააპელაციო საბჭოს მიერ განხილული იყო „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. რომელიც გაასაჩივრა დაწესებულებამ. სააპელაციო საბჭომ სააპელაციო საჩივარი მიიღო წარმოებაში, რადგან აკრედიტაციის დებულების 28<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, დაწესებულებამ სააპელაციო საბჭოში შესაძლებელია გაასაჩივროს ამ დებულების 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები კანონმდებლობით დადგენილი წესით. სააპელაციო საბჭომ მიიჩნია, რომ ვინაიდან, უნივერსიტეტის გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამომდინარეობდა აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 25 მაისს მიღებული №66 გადაწყვეტილებიდან - აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, ფორმალური თვალსაზრისით მათ წინააღმდეგობა ვერ დაინახეს, რომ სააპელაციო საბჭოს განსახილველად მიეღო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი, რომელიც ლოგიკურად უკავშირდებოდა პროგრამის აკრედიტაციის სტატუსს და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებას პროგრამის აკრედიტაციის შესახებ, რადგან პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის პროცესი დაგეგმილი იყო პროგრამის აკრედიტაციის პირობებში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, განეხორციელებინა პროგრამაზე აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგი.

ირაკლის ბურდულის თქმით, აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობით, მონიტორინგის განხორციელების შედეგად, შესაძლოა დადგეს აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების საჭიროება, თუმცა საბჭოს №768909 ოქმში ასახული გადაწყვეტილება წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე არის შუალედური და დროებითი.

ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამების საბჭოს გადაწყვეტილებით „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებას საფრთხე არ ექმნება, გადაწყვეტილება დაფიქსირებულია მხოლოდ ოქმში და არ მიესადაგება აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ჩამონათვალში მითითებულ არცერთ შესაძლო გადაწყვეტილებას პროგრამის აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებით. შესაბამისად, ზემოაღნიშნული სააპელაციო საჩივრის განხილვაში მიღების მკაფიო და ცალსახა სამართლებრივი საფუძველი არ იკვეთება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვის პროცესში აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების (ოქმი №768909) თაობაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0;


წინააღმდეგი - 6.

### გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 28<sup>3</sup> მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, არ იქნას განსახილველად მიღებული შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის 2022 წლის 19 ივლისის №820049 სააპელაციო საჩივარი „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

17:03 საათზე სააპელაციო საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
მდივანი  
საბახტარიშვილი ანა

